



სს „RMG Copper”
ნარჩენების მართვის გეგმა

დამტკიცებულია: სს RMG Copper-ის
აღმასრულებელი დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

2022 წელი

სარჩევი

1	შესავალი	4
1.1	ინფორმაცია დაინტერესებული პირის შესახებ.....	4
1.2	გეგმის მიზნები და ამოცანები.....	4
1.3	ნარჩენების მართვის გეგმის სტრუქტურა	5
1.4	ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაცია.....	5
1.5	ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულება.....	5
1.6	მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება.....	6
2	საწარმოს აღწერა	6
2.1	ზოგადი მიმოხილვა.....	6
2.2	საწარმოო მოედნის აღწერა.....	6
3	საწარმოს საქმიანობის დეტალური აღწერა	11
3.1	აღწერილობითი ნაწილი	12
3.1.1	საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა	12
4	საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები	12
4.1	ნარჩენების ინვენტარიზაცია.....	12
4.2	ნარჩენების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი რაოდენობები.....	13
5	გეგმის დასკვნითი ნაწილი	18
5.1	ნარჩენების მართვის ზოგადი მოთხოვნები და დებულებები.....	18
5.2	ნარჩენების მართვის პრინციპები	18
5.3	ნარჩენების მართვის მოდელი.....	19
5.4	ნარჩენების კლასიფიკაცია	20
5.5	ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები.....	22
5.6	ნარჩენების მინიმუმზაციისაკენ მიმართული ქმედებები.....	23
6	სახიფათო ნარჩენების მართვა	24
6.1	სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ვალდებულებები	24
6.2	სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სპეციალური ვალდებულებები.....	24
6.3	სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები	25
6.4	სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებლები	25
7	ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება	27
8	ნარჩენების დამუშავება	27
8.1.1	ნარჩენების დროებითი შენახვა	27
8.2	სახიფათო ნარჩენების შენახვა	28
8.3	არასახიფათო ნარჩენების შენახვა	31
8.4	ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტების (ღია პოლიგონების) მართვა.....	32
8.5	სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტები (დახურული	

უბნები)	33
8.5.1 გამოყენებული ზეთების ნარჩენების დროებითი შეგროვების ობიექტი	33
8.5.2 ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრების დროებითი შენახვის ობიექტი.....	30
8.5.3 ქაღალდის ნარჩენი	33
8.6 მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ადგილი.....	34
8.7 ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტების მართვა	35
8.8 ნარჩენების სეპარირება	35
8.9 ნარჩენების კონტეინერები	36
8.9.1 ნარჩენების კონტეინერების მარკირება.....	37
9 ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება	37
9.1 არასახიფათო ნარჩენების შეგროვება	38
9.2 სახიფათო ნარჩენების შეგროვება.....	40
10 ნარჩენების გადაცემის პროცესი.....	42
11 ნარჩენების ტრანსპორტირების წესები	43
12 ნარჩენების დამუშავება/საბოლოო განთავსება.....	44
13 ნარჩენების უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები.....	44
14 უსაფრთხოების მოთხოვნები და შესაძლებელი ავარიული სიტუაციების პრევენცია ნარჩენების მართვის დროს.....	45
15 პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე.....	46
15.1 ნარჩენების მართვის გეგმის კონტროლი	47

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სააქციო საზოგადოება „RMG Copper“-ის (შემდგომში „კომპანია“) ოქრო-სპილენძ-პოლიმეტალური საბადოსა და მადნის გადამუშავების შედეგად საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმას.

1.1 ინფორმაცია დაინტერესებული პირის შესახებ

- **დასახელება:** სააქციო საზოგადოება „RMG Copper“;
- **იურიდიული მისამართი:** ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთი;
- **რეგისტრაციის თარიღი:** 31.01.1996;
- **საიდენტიფიკაციო კოდი:** 225358341;
- **ხელმძღვანელი:** თორნიკე ლიპარტია, აღმასრულებელი დირექტორი;
- **გარემოსდაცვითი მმართველი:** კონსტანტინე ხაჭაპურიძე, ტელ: 551 484848, ელ-ფოსტა: kkhachapuridze@richmetalsgroup.com.

1.2 გეგმის მიზნები და ამოცანები

სს „RMG Copper“-ის სამთო მოპოვებითი და მადანგადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში მოსალოდნელია წარმოიქმნას არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები. ამასთან იგეგმება ახალი კუდსაცავის მშენებლობა, რომლის მშენებლობისა და ექსპლუატაციი შედეგად მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები წარმოქმნა. ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, კომპანიამ შეიმუშავა ნარჩენების მართვის გეგმა.

აღნიშნული ნარჩენების გეგმის მიზანია კომპანიის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მიდგომის და პროცედურების განსაზღვრა, ნარჩენებისაგან გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების თავიდან აცილება და/ან შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება. ამიტომ, გარემოზე ზიანის შემცირების უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელია შემდგომი გარემოებები:

- ნარჩენების იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა;
- ნარჩენების სეგრეგირებული შეგროვების უზრუნველყოფა, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვა, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;
- ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების უზრუნველყოფა, რომლის დროსაც გამოირიცხული უნდა იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;
- აღდგენის დროს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი მეთოდების გამოყენება;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება;
- ნარჩენების ხელმეორედ გამოყენება;
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
- ნარჩენების აღრიცხვის უზრუნველყოფა.

1.3 ნარჩენების მართვის გეგმის სტრუქტურა

ნარჩენების მართვის გეგმის შინაარსი შეესაბამება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს, N211 ბრძანებით „ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლის შესაბამისად კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- შესავალი;
- აღწერილობითი;
- დასკვნითი;

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების საფუძველზე, მისი მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 100 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, ვალდებულია შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

ნარჩენების მართვის გეგმის განახლება მოხდება ყოველ 3 წელიწადში ან წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

1.4 ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაცია

რეგისტრაციას ექვემდებარება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული შემდეგი საქმიანობები:

- ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება;
- 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება;
- არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება;
- არანაკლებ 2 ტონა და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება;
- ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება;

1.5 ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულება

ნარჩენების აღრიცხვისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე შესაბამისი ანგარიშგების ვალდებულება ეკისრებათ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი (გარდა მუნიციპალური ნარჩენებისა) ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება.

ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ნარჩენების შესახებ მონაცემები უნდა შეინახონ 3 წლის განმავლობაში.

ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმა და შინაარსი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

1.6 მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება

ისეთი პროდუქტის უშუალო მწარმოებელმა, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება, და ამ პროდუქტის ბაზარზე განმთავსებელმა უნდა იზრუნონ პროდუქტისთვის იმგვარი ფორმის მიცემაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება:

- გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირება, აგრეთვე ნარჩენების წარმოქმნის შემცირება პროდუქტის წარმოების პროცესში და შემდგომი გამოყენების შედეგად;
- პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების აღდგენა და განთავსება;

ისეთი პროდუქტის მწარმოებელი, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება, ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება.

2 საწარმოს აღწერა

2.1 ზოგადი მიმოხილვა

სს „RMG Copper“-ის სამთო-გამამდიდრებელი საწარმო აწარმოებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მათგან კი სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქტის-სპილენძის კონცენტრატის რეალიზაციას. დღეისათვის საწარმოში ხორციელდება მხოლოდ სპილენძის მადნის გადამუშავება.

სამთო-გამამდიდრებელი საწარმო განთავსებულია ბოლნისის რაიონში, დაბა კაზრეთში, ხოლო სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადო განლაგებულია ბოლნისის რაიონში, დაბა კაზრეთიდან 6 კმ მანძილზე.

სს RMG Copper-ის სამთო გამამდიდრებელი საწარმოს შემადგენლობაში შედის ღია სამთო სამუშაოების კარიერი და გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაბა კაზრეთიდან დაშორებულნი არიან შესაბამისად 3.7 კმ და 1.7. კმ მანძილით. კარიერიდან მოპოვებული მადანი ტრანსპორტირდება გამამდიდრებელ ფაბრიკაში, რომელიც გადამუშავების (ფლოტაციის) შემდეგ თხევადი ნარჩენის სახით გადაიქაჩება სპილენძის კუდსაცავზე, ხოლო სამთო სამუშაოების დროს წარმოქმნილი ფუჭი ქანები გადაიზიდება სანაყაროებზე, სადაც მძიმე მექანიზაციის საშუალებით ხორციელდება ნაყარების ფორმირება.

ამასთან იგეგმება ახალი კუდსაცავის მოწყობა, რომელიც ძველი კუდსაცავის დახურვის შემდგომ შევა ექსპლუატაციაში.

2.2 საწარმოო მოედნის აღწერა

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საწარმოს ტერიტორიაზე განლაგებულია ძირითადი ძირითად ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული ობიექტები და დამხმარე შენობა-ნაგებობები.

ძირითად ტექნოლოგიურ ობიექტებს მიეკუთვნება:

- მადნის მიმღები მოედანი;
- მსხვილი სამსხვრევი;
- საშუალო და წვრილი სამსხვრევი;


- გამადიდრებელი ფაბრიკის მთავარი კორპუსი;
- რეაგენტების კორპუსი;
- საფილტ-საშრობი კორპუსი;
- კირის საამქრო

დამხმარე შენობა-ნაგებობებია:

- ადმინისტრაციული კორპუსი;
- ცენტრალური საწყობი;
- ცენტრალური სარემონტო-მექანიკური საამქრო;
- ავტოსატრანსპორტო საამქრო;
- ნავთობბაზა;
- ელექტრო ქვესადგური (110კვ/10);
- სარკინიგზო უბანი;

გამადიდრებელი ფაბრიკის საწარმოო ტერიტორია მოიცავს სს „RMG Copper“-ის სალინცეზიო ფართობში არსებულ ღია სამთო კარიერს, სადაც მადნის მოპოვებისა და ტრანსპორტირების მიზნით მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კარიერის ექსპლუატაციისათვის საჭირო ობიექტები:

- ცენტრალური სადისპეჩერო;
- მენეჯერია;
- ავტო გასამართი სადგური;
- მძიმე ტექნიკის სარემონტო საამქრო;
- ფეთქებადი მასალების მომზადების უბანი;
- ფეთქებადი მასალების საწყობი;
- ქვესადგური (10კვ/6/04);
- გეოლოგიური სინჯების დამუშავების უბანი;




ნახაზი 2.2.1. სიტუაციური გეგმა

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა იგეგმება ახალი კუდსაცავის მშენებლობის სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდგომ, ახალი კუდსაცავი შევა ექსპლუატაციაში (იხ. ახალი კუდსაცავის ადგილმდებარეობა ნახაზზე 2.2.2.), ხოლო კუდსაცავის მშენებლობის დაწყებამდე დროებით მოეწყობა სამშენებლო ბაზა (იხ. სამშენებლო ბაზის გენგეგმა ნახაზი 2.2.3.) სადაც განთავსდება:

- ინერტული მასალების დროებითი საწყობი 6000 მ³ მოცულობის მასალის (ქვა-ღორღი, ძირითადად დაციტები და ადგილზე ამოღებული ქანი) განთავსებისთვის;
- თიხის დროებითი საწყობი 8000 მ³ მოცულობის თიხის განთავსებისათვის;
- სხვადასხვა სამშენებლო მასალების დროებითი საწყობი (მეტალი, ხის მასალა, აგრეგატები და დანადგარები);
- მიწების დროებითი საწყობი;
- მენეჯერია, სადაც განთავსდება რამდენიმე სავსე საოფისე კონტეინერი, ბიო ტუალეტები ამოსაწმენდი სეპტიკური ავზით;
- ნარჩენების დროებითი განთავსების უბანი, სადაც განთავსდება შესაბამისი ნარჩენების კონტეინერები (მცირე მოცულობის არასახიფათო მუნიციპალური და ინერტული ნარჩენების დროებით განთავსებისათვის სანამ მოხდება შესაბამის ნარჩენების კონტრაქტორზე გადაცემა);
- საწყობი (სადაც განთავსდება სამუშაო ხელსაწყოები და სხვა ინვენტარი);
- ა/მანქანების პარკინგი;
- მეორე, უფრო მცირე ზომის საწყობი პარკინგით განთავსდება ბაზიდან მოშორებით, უბანზე შემოსასვლელ გზასთან;



ნახაზი 2.2.2. ახალი კუდსაგავის განლაგების სიტუაციური გეგმა



ნახაზი 2.2.1. სამშენებლო ბაზის გენგეგმა

3 საწარმოს საქმიანობის დეტალური აღწერა

სამთო-გამამდიდრებელი საწარმო სს „RMG Copper“ (ყოფილი სს „მადნეული“) ექსპლუატაციაშია 1975 წლიდან. იგი აწარმოებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მათგან კი სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქტის- სპილენძის კონცენტრატის რეალიზაციას. დღეისათვის საწარმოში ხორციელდება მხოლოდ სპილენძისა და ოქროს მადნის გადამუშავება. საწარმოს შემადგენლობაში შედის ღია სამთო სამუშაოების კარიერი და გამამდიდრებელი ფაბრიკა.

სპილენძის მადნის მოპოვება კარიერზე წარმოებს ბურღვა-ფეთქითი მეთოდით. კარიერიდან ამოღებული მადანი ექსკავატორების მეშვეობით ჩაიტვირთება მძიმეწონიან ავტოთვიტმცლელებში, რომლებითაც მადანი ტრანსპორტირდება გამამდიდრებელ ფაბრიკაში. აქ მადნის მიმღებ მოედანზე ხდება მადნის დაგროვება, ხოლო ფუჭი ქანები გადაიზიდება სპეციალურ სანაყაროებზე, სადაც ბულდოზერების საშუალებით ხორციელდება ნაყარების ფორმირება.

ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს მადნის მიმღებ მოედანზე ნედლეულის დაგროვებას, მადნის მსხვილ, საშუალო და წვრილ ფრაქციებად დამსხვრევას, მადნის დაფქვას, ფლოტაციას,

შესქელებას, დალექვას, ფილტრაციას, გაშრობას, კონცენტრატის მიღებასა და დაფასობას, მზა პროდუქციის ჩატვირთვას და ტრანსპორტირებას.

3.1 აღწერილობითი ნაწილი

3.1.1 საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა

როგორც ზემოთ აღინიშნა წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებულია ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებისა და დებულებების გათვალისწინებით.

სს. „RMG Copper“-ის სამთო მოპოვებითი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა, მათ შორის ახალი კუდსაცავის მშენებლობა/ექსპლუატაციის პროცესში მოიცავს:

- ინფორმაციას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (წარმოშობა, სახეობა, შემადგენლობა, რაოდენობა);
- ინფორმაციას ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ (განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში);
- წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირების მეთოდების აღწერას;
- ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდებსა და პირობებს;
- ნარჩენების ტრანსპორტირების პირობებს;
- ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებულ მეთოდებს და იმ კომპანიის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც ნარჩენები შემდგომი დამუშავებისთვის გადაეცემა;
- ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის მოთხოვნებს;
- ნარჩენებზე კონტროლის მეთოდებს;

წინამდებარე გეგმაში გათვალისწინებულია დაგეგმილი საქმიანობის ყველა სახე, რომლის დროსაც წარმოიქმნება ნარჩენები, მათ შორის:

- ტექნოლოგიური რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობა;
- ტექნოლოგიური რეგლამენტით გაუთვალისწინებული საქმიანობა;
- საქმიანობა ავარიული სიტუაციის დროს.

4 საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები

სს „RMG Copper“-ის საწარმოს საქმიანობის პროცესში, წარმოიქმნება სხვადასხვა ტიპისა და სახეობის, როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენები.

4.1 ნარჩენების ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაციისა და შემდგომი ზომების, მათ შორის მარკირების, მიზანია უზრუნველყოს ნარჩენების საბოლოო და უსაფრთხო განთავსება/განადგურებისათვის საკმარისი ინფორმაციის შეგროვება.

კლასიფიკაციის შემდეგ, ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი იქნა ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაციის დოკუმენტი

4.2 ნარჩენების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი რაოდენობები

ინფორმაცია საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობების შესახებ მოცემულია ცხრილში 1, აქვე მოცემულია კონტრაქტორი კომპანიების ჩამონათვალი ნარჩენების განთავსების / აღდგენის ოპერაციების მიხედვით.

ცხრილში 4.2.1. ჩამოთვლილია კომპანიის მიერ წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენი და შეიცავს ინფორმაციას ნარჩენის შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება N 211 2015 წლის 4 აგვისტოს ქ. თბილისი, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“-ს მოთხოვნის შესაბამისად.

ცხრილი ... 2.1. ნარჩენების წარმოქმნა წლების მიხედვით (2023, 2024, 2025 წწ.)

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოების მახასიათებელი	ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა (ტონა/წელი)			კონტრაქტორი ორგანიზაცია	განთავსების / აღდგენის ოპერაცია
					2023	2024	2025		
13 02 08*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	თხევადი	დიახ	H 3-B	150	150	150	შპს „ალავერდი“ შპს „ბიდი“ შპს „სანიტარი“	R9 – ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება; D10 – მიწაზე ინსინერაცია; შენიშვნა 1
13 05 07*	ზეთიანი, ნავთობიანი წყალი, ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორიდან (გამყოფი მოწყობილობიდან)	თხევადი	დიახ	H 14	10	10	10	შპს „სანიტარი“	D10 – მიწაზე ინსინერაცია;
15 01 03	ხის შესაფუთი მასალა	მყარი	არა		3,5	3,5	3,5	„-----“	შენიშვნა 2
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	დიახ	H 3-B H 2	50	50	50	შპს „სანიტარი“ შპს. „მედიკალ ტექნოლოგი“	D10 – მიწაზე ინსინერაცია;
15 01 11*	მეტალის შესაფუთი მასალა, რომელიც შეიცავს სახიფათო მყარ ფოროვან მატრიცას (მაგალითად, აზბესტს), ცარიელი წნევის კონტეინერების ჩათვლით	მყარი	დიახ	H 14	0.2	0,3	0,3	შპს „სანიტარი“ შპს. „მედიკალ ტექნოლოგი“	D9 – ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება; შენიშვნა 3
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი რომელიც დაბინძურებულია ქიმიური ნივთიერებებით ან/და ნავთობპროდუქტებით	მყარი	დიახ	H 3-A	30	30	30	შპს. „მედიკალ ტექნოლოგი“ შპს „სანიტარი“	D10 – მიწაზე ინსინერაცია;
16 01 03	განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები	მყარი	არა		93	93	93	შპს „ლაზუ ჯგუფი“ მგვ	R5 – სხვა არაორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა; შენიშვნა 4

16 05 06*	ლაბორატორიული ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შეიცავს ან შედგება სახიფათო ნივთიერებებისაგან, მათ შორის ლაბორატორიული ნივთიერებების ნარჩენები	თხევადი	კი	H 5	42	42	42	შპს „მედიკალ ტექნოლოგი“	D9 – ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება;
16 02 13*	მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხდებით 19 02 09-დან 16 02 13-მდე პუნქტებში	მყარი	კი	H 14	0,2	0,2	0,2	შპს „მედიკალ ტექნოლოგი“	R13 - R1-დან R12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციისთვის განკუთვნილი ნარჩენების დასაწყობება (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)
16 02 14	მწყობრიდან გამოსული, რომელსაც არ ვხდებით 19 02 09-დან 16 02 13-მდე პუნქტებში	მყარი	არა		1	1	1	შპს „მედიკალ ტექნოლოგი“	R13 - R1-დან R12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციისთვის განკუთვნილი ნარჩენების დასაწყობება (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)
16 11 05*	მოსაპირკეთებელი მასალა და ცეცხლგამძლე ნარჩენები არა მეტალურგიული პროცესებიდან, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნარჩენებს	მყარი	დიახ	H 6	2,5	2,5	2,5	შპს „მედიკალ ტექნოლოგი“	D9 – ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება;
17 04 01	სპილენძი, ბრინჯაო, თითბერი	მყარი	არა		440	440	440	შპს „ობო მოტორსი“	R4 – მეტალების ან მეტალების ნაერთების რეციკლირება/აღდგენა;
17 04 02	ალუმინი	მყარი	არა		5	5	5	შპს „ობო მოტორსი“	R4 – მეტალების ან მეტალების ნაერთების რეციკლირება/აღდგენა;
17 04 07	შერეული ლითონები	მყარი	არა		700	700	700	შპს „ობო მოტორსი“	R4 – მეტალების ან მეტალების ნაერთების რეციკლირება/აღდგენა;

17 05 05*	გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	დიახ	H 3-B	2	2	2	შპს „სანიტარი“	D9 – ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება;
17 06 05*	აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები	მყარი	დიახ	H 5	5	5	5	შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“	D1 – მიწაში ან მიწაზე განთავსება; შენიშვნა 5
18 01 03*	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით	მყარი	დიახ	H 9	0.08	0.08	0.08	შპს. „მედიკალ ტექნოლოგი“	D10 – მიწაზე ინსინერაცია;
20 01 01	ქაღალდი და მუყაო	მყარი	არა		7,5	7,5	7,5	შპს „გამომცემლობა პალიტრა L“	R5 – სხვა არაორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა; შენიშვნა 6
20 01 21*	ფლურესცენციული მიწები / ნათურები	მყარი	დიახ	H 6	0.05	0.02	0.02	შპს. „სანიტარი“	D9 – ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება;
20 01 33*	შერეული ბატარეები/აკუმულატორები	მყარი	დიახ	H 6	12	12	12	შპს „აკას ჯორჯია“ მგვ	R4 – მეტალების ან მეტალების ნაერთების რეციკლირება/აღდგენა; შენიშვნა 7
20 01 39	პლასტმასი	მყარი	არა		11	11	11	შპს „L.M.Y“	R3 – იმ ორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა, რომლებიც არ გამოიყენება, როგორც გამხსნელები;
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	მყარი	არა		390	390	390	შპს „კომუნალური მეურნეობა“	D1 – მიწაში ან მიწაზე განთავსება;

შენიშვნა:

1. აღნიშნული ნარჩენი ძირითადად გადაეცემა კონტრაქტორებს, შპს „ალავერდს“ და შპს „ბიდს“ რომელზეც ახდენს მეორადი ზეთების რეგენერაციას (R9). იმ შემთხვევაში თუ მეორადი ზეთები დაწუნებული იქნება შემსყიდველის, მიერ მასში არსებული მინარევების გამო ან/და სხვა მიზეზით იგი გადაეცემა მეორე კონტრაქტორს შპს „სანიტარს“, რომელიც ახდენს მეორადი ზეთების ინსენერაციას (D10), ხოლო როგორც კი ჩვენი ზეთების მომწოდებელი კონტრა მიგვითითებენ იმ მგვ ორგანიზაციაზე, სადაც ისინი არიან გაწევრიანებული, შესაბამისად მოხდება ნარჩენი ზეთების მათზე გადაცემა და გეგმაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.
2. აღნიშნული ნარჩენი წარმოადგენს მეორად პალეტებს და სამშენებლო ფიცარს და ჭრების შედეგად დარჩენილ ტოტებს, კომპანია ძირითადად აღნიშნულ ნარჩენს ძირითადად აქუცმაცებს და მულჩის მოიხმარს ბიოლოგიური რეკულტივაციის სამუშაოებში ან სამშენებლო მეორადი მასალებისათვის ვარგის მასალებს უსასყიდლოდ გადაცემს მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთებში მცირე მშენებლობებისათვის;
3. აღნიშნული კოდი ითვალისწინებს მხოლოდ გამოყენებულ და ვადაგასულ ცეცხლმაქრებს;
4. კომპანია რეგისტრირებულია მგვ ბაზაში და ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ააიპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“-სთან 140 სმ და დაბალი დიამეტრის საბურავებს, რომელიც იმპორტირებულია გადასცემს მგვ ორგანიზაციას, ხოლო 140 სმ ზემოთ კონტრაქტორ ორგანიზაციას.
5. აზბესტის შემცველი ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში, კომპანია დაიცავს 2016 წლის 29 მარტის საქართველოს მთავრობის #145 დადგენილების მოთხოვნებს და შემდგომ გადასცემს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, მხოლოდ ასეთი ნარჩენებისათვის გამოყოფილ შესაბამის სექტორში/უჯრედში განსათავსებლად.
6. ქაღალდი/მუყაო, მუყაოს ნარჩენებს კომპანია ძირითადად აქუცმაცებს და მისგან მიღებულ მულჩს მოიხმარს ბიოლოგიური რეკულტივაციის სამუშაოებში (ჰიდრო თესვაში), ხოლო ოფისებში შეგროვებულ ქაღალდს გადასცემს კონტრაქტორ ორგანიზაციას.
7. იმპორტირებული აკუმულიატორების და ბატარეების შემთხვევაში ნარჩენები გადაეცემა მგვ ორგანიზაციას, ხოლო სხვა შემთხვევებში კონტრაქტორ კომპანიას ან/და იმ მგვ ორგანიზაციას სადაც ჩვენი მომწოდებელი კომპანიები იქნებიან გაწევრიანებული, შესაბამისად განხორციელდება გეგმაში ცვლილებები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შიდა ბაზარზე შეძენილი მგვ ვალდებულებაში მოქცეულ პროდუქციისგან (საბურავი, ზეთი, ბატარეა/აკუმულიატორები, ელექტრო და ელ. მოწყობილობები) წარმოქმნილ ნარჩენებს, კომპანია გადასცემს შესაბამის მგვ ორგანიზაციას (სადაც მომწოდებელი კონტრაქტორი კომპანიები იქნებიან გაწევრიანებული და შესაბამისად განხორციელდება გეგმაში შესაბამისი ცვლილებები).

5 გეგმის დასკვნითი ნაწილი

5.1 ნარჩენების მართვის ზოგადი მოთხოვნები და დებულებები

მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელი, მოსახლეობის გარდა, უფლებამოსილია არ ისარგებლოს ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური სამსახურის მომსახურებით და მის მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები შესაგროვებლად და დასამუშავებლად გადასცეს იმ პირს, რომელსაც ამ კოდექსის შესაბამისად მინიჭებული აქვს ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების უფლება. ასეთ შემთხვევაში ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე შესაბამის მუნიციპალიტეტს.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ნარჩენების კანონმდებლობით განსაზღვრულია შემდეგი ზოგადი მოთხოვნები:

- ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა განხორციელდეს ნარჩენების სახეობების, მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით, ისე, რომ შემდგომ დაბრკოლება არ შეექმნას აღდგენას;
- ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების დროს მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება;
- ნარჩენების ტრანსპორტირების შედეგად ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევაში ნარჩენების გადამზიდველი ვალდებულია უზრუნველყოს დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება;
- ნარჩენების წარმომქმნელი და ნარჩენების მფლობელი ვალდებული არიან, ნარჩენები თავად დაამუშაონ ან შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების მიზნით გადასცენ შესაბამისი უფლების მქონე პირებს ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- თუ ნარჩენები გადაცემულია აღდგენისთვის ან განთავსებისთვის, ნარჩენების თავდაპირველი წარმომქმნელის ან/და ნარჩენების მფლობელის პასუხისმგებლობა ძალაშია ნარჩენების სრულ აღდგენამდე ან განთავსებამდე;
- პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების შეგროვებას ან ტრანსპორტირებას, ვალდებულია ნარჩენები დასამუშავებლად გადასცეს შესაბამის ობიექტს, რომელსაც აქვს სათანადო ნებართვა ან გავლილი აქვს რეგისტრაცია;
- ნარჩენების გადამზიდველი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების განხორციელებამდე მიიღოს ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას თან იქონიოს აღნიშნული მოწმობა.
- აკრძალულია ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა.
- ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5.2 ნარჩენების მართვის პრინციპები

იერარქიის პრინციპი ნარჩენების მართვაში გულისხმობს ნარჩენების მართვისას საქმიანობის კატეგორიზაციას ოპტიმალურობის დაცვის თვალსაზრისით.

ნარჩენების მართვის პროცესში გამოიყენება სისტემური მეთოდი. კერძოდ, იგი მოიცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“ – მიღებული უნდა იქნეს ზომები გარემოსთვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინაც კი, თუ არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები;
- პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“ – ნარჩენების წარმოქმნელი ან ნარჩენების მფლობელი ვალდებულია გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;
- „სიახლოვის პრინციპი“ – ნარჩენები უნდა დამუშავდეს ყველაზე ახლოს მდებარე ნარჩენების დამუშავების ობიექტზე, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;
- „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“ – უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს მუნიციპალური ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ობიექტების ინტეგრირებული და ადეკვატური ქსელი.


5.3 ნარჩენების მართვის მოდელი

მთელს მსოფლიოში, არსებული ნაგავსაყრელები ვეღარ აუდიან განვითარებული ეკონომიკისა და ცხოვრების დონის ამაღლების გამო გაზრდილ ნარჩენების რაოდენობას, ამიტომ საჭირო ხდება ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობა, რაც გაზრდილ ხარჯებთან და გარემოზე გაზრდილ უარყოფით ზემოქმედებასთანაა დაკავშირებული.

განვითარებული ქვეყნების მთავრობებმა შეიმუშავეს ნარჩენების იერარქიული მოდელი, რომელიც ამომავალი წერტილია ნარჩენების მდგრადი, ინტეგრირებული მართვის სისტემისათვის. ეს მოდელი გულისხმობს ნარჩენების მართვის პროცესში ქმედებების პრიორიტიზაციას, კერძოდ:

ნარჩენების მართვის საუკეთესო ვარიანტია მათი მინიმიზაცია, ანუ ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება, რაც თავისთავად იწვევს ნარჩენების რაოდენობისა და მათგან მოსალოდნელი გარემოსდაცვითი საფრთხის მინიმიზაციას. შემდგომი საფეხური ნარჩენების ხელმეორედ გამოყენებაა; შემდგომ გადამუშავება (რეციკლირება) და ნარჩენებისგან ენერგიის აღდგენა; ხოლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება უკანასკნელი გამოსავალია.

ქვემოთ მოცემულია ნარჩენების იერარქიის ვიზუალური მოდელი, რომელსაც ამოზრუნებული პირამიდის ფორმა გააჩნია.



ნარჩენების მართვის იერარქიასთან მიმართებით კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

- ეკოლოგიური სარგებელი;
- შესაბამისი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენებით ტექნიკური განხორციელებადობა;
- ეკონომიკური მიზანშეწონილობა;

5.4 ნარჩენების კლასიფიკაცია

ნარჩენების მართვის კოდექსი (მუხლი 3) განსაზღვრავს ტერმინ „ნარჩენის“ მნიშვნელობას, კერძოდ, „ნარჩენი“ არის ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს (პუნქტი „ა“).

ნარჩენების მართვის შემდგომი ღონიძიებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კლასიფიკაციაზე, რომელიც უნდა ჩატარდეს მათი წარმოქმნის ადგილზე. ნარჩენების სეპარაცია, მათი შენახვის წესების დაცვა, და ბოლოს, დამუშავება/განადგურება-ყოველივე ეს მოითხოვს ნარჩენების სწორ კლასიფიკაციას.

ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მოახდინოს არსებული ნარჩენების კლასიფიკაცია არსებული კანონმდებლობის და სტანდარტების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების კლასიფიკაციის ზოგადი მეთოდოლოგია არ იქნება ამომწურავი, ნარჩენების კლასიფიკაციის უზრუნველსაყოფად უნდა ჩატარდეს ნარჩენების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნარჩენების კლასიფიკაცია და მისი განმსაზღვრელი მახასიათებლები საქართველოს ნარჩენების კოდექსის და ევროდირექტივების მიხედვით.

ცხრილი 5.4.1. ნარჩენების კლასიფიკაცია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით

ნარჩენის სახეობა	განმსაზღვრელი მახასიათებლები
სახიფათო ნარჩენები	რომლებსაც აქვს ერთი ან მეტი სხიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებელი, კერძოდ ფეთქებადი; მჟანგავი; ადვილად აალებადი; გამაღიზიანებელი; მავნე; ტოქსიკური; კანცეროგენული; კოროზიული; ინფექციური; რეპროდუქციისთვის ტოქსიკური; მუტაგენური; სენსიბილური; ეკოტოქსიკური; წყალტან; ჰაერთან ან მჟავასთან უქთიერთქმედებისას ტოქსიკურ ან მეტად ტოქსიკურ აირებს გამოყოფი; ნარჩენი, რომელმაც განთავსების შემდეგ შესაძლოა გამოყოს სხვა ნივთიერება, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მახასიათებელი აქვს
არასახიფათო ნარჩენები	ნარჩენები რომლებსაც არ მოიცავს „სახიფათო ნარჩენების“ განმარტებას
საყოფაცხოვრებო ნარჩენები	საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები
მუნიციპალური ნარჩენები	საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგელობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია
ინერტული ნარჩენები	ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს - არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაზიანებებს ან ადამიანის
ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	ბიოდეგრადირებადი ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას
თხევადი ნარჩენები	თხევად მდგომარეობაში არსებული ნარჩენები
სამედიცინო ნარჩენები	სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოების და საწყობების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები
სპეციფიკური ნარჩენები	ისეთი პროდუქტებისაგან წარმოქმნილი ნარჩენი, რომელიც თვისი მახასიათებლებისა და ფართო გავრცელების გამო ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მართვის სპეციფიკური ზომების მიღებასა და მოვლას საჭიროებს (შეფუთვა, ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა)

ცხრილი 5.4.2. ნარჩენების კლასიფიკაციის განსაზღვრელი მახასიათებლები ევროდირექტივების მიხედვით

ნარჩენის სახეობა	განსაზღვრებები
ინერტული	ევროგაერთიანების 1999/31/EEC დირექტივის მე-2 მუხლში მოცემული განსაზღვრების შესაბამისად, წარმოადგენს ნარჩენებს, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს. ინერტული ნარჩენები არ იხსნება, არ იწვის და არ ავლენს რაიმე სხვა სახის ფიზიკურ ან ქიმიურ რეაქციას; არ იხრწნება და უარყოფითად არ მოქმედებს რაიმე სხვა მატერიაზე, რომელთანაც შეხება აქვს. არ იწვევს გარემოს დაბინძურებას და არ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას. ამგვარი ნარჩენების დამაბინძურებელი ეფექტი და ეკოტოქსიკურობა უმნიშვნელო უნდა იყოს და არ უქმნის საფრთხეს მიწისზედა და /ან მიწისქვეშა წყლების ხარისხს
მავნე	ნარჩენები რომლებიც გასაზღვრულია 91/689 დირექტივის 1(4) მუხლში და გააჩნია შემდეგი პოტენციური თვისებები: „ფეთქებადი“, მჟავიანობა, ძალიან აალებადი ან აალებადი, გამაღიზიანებელი, ტოქსიკური, კანცეროგენული, კოროზიული, ინფექციური, ტერატოგენური, მუტაგენური, ჰაერთან წყალთან ან მჟავასთან კონტაქტისას გამოყოფს ძალიან ტოქსიკურ ან ტოქსიკურ გაზებს; ნივთიერებები, რომლებსაც განადგურებისას შეუძლია წარმოშვას სხვა ნივთიერებები და ეკოტოქსიკური ნივთიერებები
უვნებელი	ნარჩენები, რომლებიც ზემოთაღწერილ განსაზღვრებას არ შეესაბამება

5.5 ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები

სს „RMG Copper“-ის საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული იქნება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ტერიტორიაზე ნარჩენების სორტირება და დროებითი დასაწყობებისთვის - ტიპების მიხედვით - სპეციალური ადგილის გამოყოფა;
- ნარჩენების (მაგ. ხე-მასალა) ადგილზე გამოყენება ან მოსახლეობისთვის გადაცემა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების გამოყენება;
- ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა ადგილობრივ ნაგავსაყრელზე;
- წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებლობისამებრ გამოყენებული იქნება ხელმეორედ;

ზემოთ მოცემულ ზოგად პინციპებთან და მიდგომებთან ერთად ობიექტის ოპერირებისას ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის მიზნით გატარებული იქნება შემდეგი კონკრეტული ღონისძიებები:

- პერიოდულად განხორციელდება თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ავარიული სიტუაციების თავიდან აცილების და ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის მიზნით;

- მაქსიმალურად იქნება დაცული დანადგარებთან მოპყრობის უსაფრთხოების ნორმები, რითაც თავიდან იქნება არიდებული გაუთვალისწინებელი ნარჩენების წარმოქმნა;
- განხორციელდება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარაცია, რითაც თავიდან იქნება არიდებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობის გაზრდა.

ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები განადგურების და/ან გაუვნებლობის მიზნით გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიებს – შპს „მედიქალ ტექნოლოგ“-სა და შპს „სანიტარს“. კომპანიის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული კონტრაქტორი კომპანიების მონიტორინგი ნარჩენების მიღების, დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების და აღდგენის ოპერაციების კეთილსინდისიერად განხორციელების მიზნით.

5.6 ნარჩენების მინიმიზაციისაკენ მიმართული ქმედებები

ს.ს „RMG Cooper განახორციელებს ნარჩენების მინიმიზაციისაკენ ან/და მათი ხელახალი გამოყენებისაკენ მიმართულ სხვადასხვა სახის ქმედებებს, რომლებიც საწყის ეტაპზე შეამცირებენ, ხოლო უახლოეს წლებში მინიმუმამდე დაიყვანს ისეთი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, როგორცაა:

1) 20 01 21* ფლუროსცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები.

ფლუროსცენციული მილების ნარჩენის სახით წარმოქმნა ეტაპობრივად მცირდება, ვინაიდან კომპანიის ტერიტორიაზე ხდება მხოლოდ დიოდური განათების გამოყენება და უახლოეს პერიოდში სრულად აღმოფხვრის აღნიშნული ნარჩენის წარმოქმნას.

2) 13 02 08* ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები

კომპანია აღნიშნული სახის ნარჩენს გამოიყენებს ფეთქი მასალების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში, რაოდენობის შემცირება დამიკიდებული იქნება აღნიშნულ პროცესში მისი გამოყენების საჭიროებიდან გამომდინარე, რაც საგრძნობლად შეამცირებს უტილიზაციისათვის (რეგენერაციისათვის) განკუთვნილ მეორადი ზეთების რაოდენობას.

3) 15 01 10* შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით

ამ ტიპის ნარჩენები კომპანიაში გამოიყენება მეორადი სახიფათო ნარჩენების შეგროვების კონტეინერებად მათზე შესაბამისი ნიშნების დატანის შემდეგ (ზეთის კასრები 15 02 02* კატეგორიის ნარჩენებისათვის, მჟავის კასრები 16 05 06* კატეგორიის შესაგროვებლად და სხვა.). აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოქმნილი შესაფუთი ნარჩენის სახეობა უნდა შეესაბამებოდეს მასში შეგროვებული ნარჩენის სახეობას.

ასევე კომპანიის მიერ დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა სრულად უზრუნველყოფს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განცალკევებას, რაც ამცირებს სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას.

ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენის (ლამი) და საწარმოში წარმოქმნილი ბიოდეგრადირებადი ნარჩენები გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო ღონისძიებების პროცესში.

6 სახიფათო ნარჩენების მართვა

6.1 სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ვალდებულებები

სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, შეგროვება და ტრანსპორტირება, აგრეთვე მათი დამუშავება და დასაწყობება ისე უნდა განხორციელდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა.

აკრძალულია:

- სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ;
- სახიფათო ნარჩენების საკანალიზაციო სისტემაში ან მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში (მათ შორის, ზღვაში) ჩაშვება;
- სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა;
- სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ნარჩენების დამუშავების ობიექტის გარეთ დამუშავება.

6.2 სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სპეციალური ვალდებულებები

ნარჩენების წარმომქმნელი, რომელიც წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტ სახიფათო ნარჩენს წარმოქმნის, ვალდებულია:

- შექმნას და დანერგოს სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემა;
- განსაზღვროს გარემოსდაცვითი მმართველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის შესაბამისი ზომების მიღებისთვის;
- უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პერსონალის ინფორმირება და შესაბამისი სწავლების ჩატარება.

ნარჩენების ზუსტი შემადგენლობის დადგენამდე ეს ნარჩენები სახიფათოდ ითვლება.

თუ საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს სახიფათო ნარჩენების დამუშავების ტექნიკური ან/და ტექნოლოგიური შესაძლებლობა, სახიფათო ნარჩენების დამუშავებისათვის უნდა განხორციელდეს მათი ექსპორტი. ექსპორტის განხორციელებამდე სავალდებულოა ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი წესით სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო დასაწყობება დროებითი შენახვის ობიექტზე.

სახიფათო ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ახორციელებს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი.

აკრძალულია სახიფათო ნარჩენების სხვა სახის სახიფათო ნარჩენებთან ან სხვა ნარჩენებთან, ნივთიერებებთან ან მასალებთან შერევა. შერევა მოიცავს სახიფათო ნივთიერებების გაზავებას.

გამონაკლისის სახით, სახიფათო ნარჩენების შერევა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, თუ თანხმობა მოთხოვნილია ოპერატორის მიერ და შერევა ზიანს არ მიაყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

ნებისმიერი ამოუცნობი ნარჩენი თავდაპირველად განიხილება როგორც სახიფათო და ექვემდებარება კარანტინს მის იდენტიფიცირებამდე.

6.3 სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები

სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამისათვის საჭიროა განისაზღვროს:

- სახიფათო ნარჩენების წარმოქმნიდან საბოლოო განთავსებამდე მათი მიკვლევადობის მექანიზმები;
- სახიფათო ნარჩენების შეფუთვისა და ეტიკეტირების მოთხოვნები;
- მოთხოვნები სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტისთვის;
- მოთხოვნები მდგრადი ორგანული დამბინძურებლების ნარჩენებისადმი;
- მოთხოვნები ისეთი სახიფათო ნარჩენებისადმი, როგორებიცაა ნარჩენი ზეთი, აზბესტის ნარჩენი და სხვა.

სახიფათო ნარჩენები განთავსდება მხოლოდ სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

6.4 სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებლები

საქართველოს ნარჩენების კოდექსი განსაზღვრავს სახიფათო ნარჩენების კონკრეტულ მახასიათებლებს, რომელთა მიხედვითაც ამა თუ იმ ნარჩენს ენიჭება სახიფათოობის სხვადასხვა მახასიათებელი.

ცხრილი 6.4.1. სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებლები

H 1	„ფეთქებადი“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შესაძლოა ცეცხლის ალის ზემოქმედებით აფეთქდეს, ან რომლებიც ხახუნის მიმართ უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე დინიტრობენზოლი.
H 2	„მჟანგავი“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც სხვა ნივთიერებებთან, კერძოდ, აალებად ნივთიერებებთან, ურთიერთქმედებისას მაღალ ეგზოთერმულ რეაქციებს ავლენს.
H 3-A	„ადვილად აალებადი“: - თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული 21°C- ზე ნაკლებია (მათ შორის, უკიდურესად აალებადი სითხეები); - ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ჰაერთან ურთიერთქმედებისას ყოველგვარი ენერგიის გამოყენების გარეშე შესაძლოა გაცხელდეს და ცეცხლი გაუჩნდეს; - მყარი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვს უნარი, ცეცხლი გააჩინოს აალების წყაროსთან მცირე კონტაქტის დროსაც კი და რომლებიც აგრძელებს წვას ან შთანთქმას აალების წყაროსგან მოშორების შემდეგ; - აირისებრი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჰაერში აალებადია ჩვეულებრივ წნევაზე; - ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც წყალთან ან ნოტიო ჰაერთან ურთიერთქმედებისას საშიში ოდენობის ადვილად აალებად აირებს გამოყოფს.

H 3-B	„აალებადი“ – თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული მეტია ან ტოლია 21°C-ისა და ნაკლებია ან ტოლია 55°C-ისა.
H 4	„გამაღიზიანებელი“ – არაკოროზიული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც კანთან ან ლორწოვან მემბრანასთან დაუყოვნებელი, განგრძობადი ან განმეორებითი ურთიერთქმედებისას შესაძლოა ანთება გამოიწვიოს.
H 5	„მავნე“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა შესუნთქვა, ჩაყლაპვა ან კანში შეღწევა ჯანმრთელობისათვის საშიშია.
H 6	„ტოქსიკური“ – ნივთიერებები და პრეპარატები (მათ შორის, მეტად ტოქსიკური ნივთიერებები და პრეპარატები), რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზული, მკვეთრი ან ქრონიკული დაზიანება ან სიკვდილიც კი გამოიწვიოს.
H 7	„კანცეროგენული“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა სიმსივნე გამოიწვიოს ან მისი გაჩენის ალბათობა გაზარდოს.
H 8	„კოროზიული“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესაძლოა ცოცხალ ქსოვილთან ურთიერთქმედებისას დაშალოს იგი.
H 9	„ინფექციური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შეიცავს ისეთ მიკროორგანიზმებს ან მათ ტოქსინებს, რომლებსაც, როგორც ცნობილია ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ან სხვა ცოცხალი ორგანიზმის დაავადება.
H 10	„რეპროდუქციისთვის ტოქსიკური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა არამემკვიდრეობითი თანდაყოლილი პათოლოგიები გამოიწვიოს ან მათი
H 11	„მუტაგენური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა მემკვიდრეობითი გენეტიკური დეფექტები გამოიწვიოს ან მათი განვითარების ალბათობა
H 12	ნარჩენები, რომლებიც წყალთან, ჰაერთან ან მჟავასთან ურთიერთქმედებისას ტოქსიკურ ან მეტად ტოქსიკურ აირებს გამოყოფს.
H 13	„სენსიბილური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჰიპერმგრძნობიარე რეაქცია გამოიწვიოს, კერძოდ, მათ ხანგრძლივი ზემოქმედებისას შეიძლება დამახასიათებელი უარყოფითი გავლენა მოახდინონ.
H 14	„ეკოტოქსიკური“ – ნარჩენები, რომლებიც უქმნის ან რომლებმაც შესაძლოა შეუქმნას დაუყოვნებელი ან განგრძობადი რისკი გარემოს ერთ ან რამდენიმე
H 15	ნარჩენები, რომლებმაც განთავსების შემდეგ შესაძლოა გამოყოს სხვა ნივთიერება, მაგ., გამონაჟონი, რომელსაც აქვს H1–H14 კოდებში ჩამოთვლილი

7 ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება

ნარჩენების მართვის კოდექსის (მუხლი 29) თანახმად კომპანია იღებს ვალდებულებას აწარმოოს ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგება სამინისტროს წინაშე და ნარჩენების შესახებ მონაცემები შეინახოს 3 წლის განმავლობაში.

ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმა და შინაარსი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით N422,

„ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“. აღრიცხვა ანგარიშგების ფორმების შევსება და სამინისტროში წარდგენა, ნარჩენების მონაცემთა ბაზაში დასაფიქსირებლად იწარმოებს ელექტრონული ფორმით. მონაცემები უნდა მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას, კერძოდ: ნარჩენების კოდს, დასახელებას, სახიფათოობას (დიახ/არა) და სახიფათოობის მახასიათებელს, რაოდენობას, ზომის ერთეულს და სხვა.

8 ნარჩენების დამუშავება


8.1.1 ნარჩენების დროებითი შენახვა

ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 მუხლის “3” ქვეპუნქტის თანახმად ნარჩენების დროებითი შენახვის უბანი არის ობიექტი, სადაც: თუ ნარჩენი განკუთვნილია აღდგენისათვის - ინახება 3 წელზე ნაკლები დროით; თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის - ერთ წელზე ნაკლები დროით. ეს გარემოება გათვალისწინებული იქნება კომპანიის მიერ ნარჩენების დროებითი შენახვის უბანზე ნარჩენების დასაწყობებისას.

არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსების უბნები კარგად უნდა იყოს დაცული რათა არ მოხდეს არაავტორიზირებულ პირთა და ცხოველთა შესვლა უბნის ტერიტორიაზე. კომპანიის მიერ წარმოებული სწორი მენეჯმენტის შედეგად გამოირიცხება:

- შემთხვევითი გაჟონვით ან დაღვრით, ნიადაგისა და გრუნტის წყლების დაბინძურება;
- კონტეინერების დაზიანება, კოროზია ან ცვეთა, რისთვისაც შეირჩევა შესაბამისი მასალისაგან დამზადებული კონტეინერები;
- ქურდობის ფაქტები;
- ნარჩენებთან ცხოველების შეხება;

ქვემოთ მოცემულია ნარჩენების დროებითი განთავსების უბნ(ებ)ის ტიპიური სქემატური ნახაზი



აღსანიშნავია, რომ ახალი კუდსაცავის მშენებლობის დაწყებამდე, სამშენებლო ბაზაზე მოეწყო არასახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების უბანი, სადაც განთავსდება შესაბამისი ნარჩენების კონტეინერები (მცირე მოცულობის არასახიფათო მუნიციპალური და ინერტული ნარჩენების დროებით განთავსებისათვის სანამ მოხდება შესაბამის ნარჩენების კონტრაქტორზე გადაცემა);

სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსება აღნიშნულ უბანზე არ განხორციელდება. იქ წარმოქმნილი მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენი მოთავსდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე განთავსებულ კონტეინერებში და ყოველდღიურად გაიტანება სს RMG Copper-ის სახიფათო ნარჩენების განთავსების შესაბამის უბანზე.

8.2 სახიფათო ნარჩენების შენახვა

სახიფათო ნარჩენებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების 4 უბანი (მადნეული-1, მადნეული-2, მადნეული-3 და მადნეული-4), სადაც საბოლოო განთავსების ობიექტზე ტრანსპორტირებამდე გროვდება და საწყობდება ათ ტონამდე ოდენობის (არანაკლებ 2 ტონისა) სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენი და 1 უბანი 2 ტონამდე სახიფათო ნარჩენების განთავსების. უბნები მოწყობილია და რეგისტრირებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N 145 დადგენილებით დამტკიცებული „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების“ ტექნიკური რეგლამენტის მე-10-ე მუხლის შესაბამისად:

- 1) საწყობი არის გადახურული, რაც უზრუნველყოფს დაცვას მეტეო პირობებისაგან.
- 2) შესასვლელ კარზე განთავსებულია ამკრძალავი და საინფორმაციო ნიშნები;
- 3) იატაკი მოწყობილია წყალგაუმტარი მასალით და ითვალისწინებს ნარჩენების დაღვრის ან გაფანტვის აღბათობას;
- 4) საწყობი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო და ნავთობის ან/და ქიმიური ნივთიერებების დაღვრის საწინააღმდეგო ნეკრებით;

- 5) საწყობი აღჭურვილია ონკანით და წყალმიმღები ზუმფით.
- 6) საწყობში განთავსებულია კონტეინერები შესაბამისი აღნიშვნებით და ამკრძალავი ნიშნებით (კატეგორიისა და სახეობის მითითებით);
- 7) კონტეინერების განთავსება უზრუნველყოფს ნარჩენებთან მარტივ და უსაფრთხო წვდომას;
- 8) იწარმოება ჟურნალი, რომელშიც შეტანილია ნარჩენის შემოსვლის თარიღი, რაოდენობა, სახიფათოობა და დასტურდება საწყობზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. დოკუმენტაცია ინახება 3 (სამი) წლის ვადით.



ნახაზი 7.2.1. ნარჩენების დროებითი განთავსების უბნების სიტუაციური გეგმა

იქ განთავსდება სახიფათო ნარჩენები, რომელიც მოთავსებული იქნება მეტალის კასრებში ან სპეციალურ კონტეინერებში შესაბამისი მარკირებით. კონტეინერი, რომელიც გამოიყენება სახიფათო ნარჩენებისთვის, შენახვის ადგილზე მოთავსებული იქნება იმგვარად, რომ ნარჩენებთან წვდომა მარტივი და უსაფრთხო იყოს პერსონალისათვის. იმ შემთხვევაში, თუ სახიფათო ნარჩენების შესანახად გამოიყენება ავზი, აუცილებელია ამ უკანასკნელის მოთავსება სითხეგაუმტარ შემოფარგლულ ტერიტორიაზე, რომელიც შეაკავებს თხევად სახიფათო ნარჩენებს დაღვრის ან ავარიის შემთხვევაში. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა/განთავსება აღნიშნულ უბანზე ნებადართული იქნება მხოლოდ 1 წლამდე ვადით.

კონტეინერების/კასრების შევსების შემდგომ მოხდება შესაბამისი კონტრაქტორის გამოძახება და სახიფათო ნარჩენების გატანა დანიშნულებისამებრ.

8.3 არასახიფათო ნარჩენების შენახვა

სს „RMG Copper“-ის სამთო მოპოვებითი და მადანგადამამუშავებელი საწარმოო ზონაში შერჩეულ ტერიტორიებზე მოწყობილია ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების ადგილები (პოლიგონი): ჯართის (ლითონის ნარჩენები), პლასტმასის, გამოყენებული საბურავების, ხის მასალის პოლიგონი.



სურათი 1. ჯართის შეგროვების პოლიგონი



სურათი 2. პლასტმასის ნარჩენების განთავსების პოლიგონი



სურათი 3. ხის მასალის ნარჩენების განთავსების პოლიგონი





სურათი 4. საბურავების განთავსების პოლიგონი

8.4 ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტების (ღია პოლიგონების) მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან გამართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის პირობებში საწარმოს ტერიტორიაზე არასახიფათო ნარჩენების ორგანიზებულად შეგროვების ღია პოლიგონებზე გამოირიცხება:

- ისეთი სახიფათო ნარჩენების მოხვედრა, რომლებიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ჰაერთან ურთიერთქმედებისას ყოველგვარი ენერგიის გამოყენების გარეშე შესაძლოა გაცხელდეს და ცეცხლი გაუჩნდეს; ჰაერში აალებადია ჩვეულებრივ წნევაზე; წყალთან ან ნოტიო ჰაერთან ურთიერთქმედებისას საშიში ოდენობის ადვილად აალებად აირებს გამოყოფს;
- შემთხვევითი გაჟონვით ან დაღვრით ნიადაგის, გრუნტისა და ზედაპირული წყლების დაბინძურება;
- ნარჩენების შერევა;
- ნარჩენების გაფანტვა;
- უცხო პირთა შესვლა;
- ქურდობის ფაქტები.

აღნიშნულ უბნებზე ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების რისკი არსებობს ნარჩენების (მყარი და თხევადი) მართვის, საწვავ-საპოხი მასალების და სამშენებლო მასალების შენახვის წესების დარღვევის, ასევე სამშენებლო ტექნიკიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში.

გარემოს დაბინძურების აღნიშნული და სხვა რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით კომპანიაში შემუშავებულია შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა. ამ კონკრეტული შემთხვევისთვის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მიხედვით წარმოებს სამშენებლო ტექნიკის, მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობაზე მუდმივი მეთვალყურეობა და გაუმართაობის დაფიქსირებისთანავე დროული ზომების მიღება; ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში, ნიადაგის/გრუნტის დაბინძურებული ფენის დროულად მოხსნა და რემედიაციისათვის გადაცემა შესაბამის კომპანიას; მუშა პერსონალი აღნიშნულ უბნებზე ახორციელებს მუდმივ მეთვალყურებას, რომ ადგილი არ ქონდეს სხვა

ნარჩენების მოხვედრას; ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ნარჩენების დროებითი შენახვის პოლიგონებზე ნარჩენების ზღვრულად დასაშვები მოცულობა შეესაბამებოდეს დასაშვებს და ორგანიზებას უწევს მათ დროულად გატანას ტერიტორიიდან.

8.5 სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტები (დახურული უბნები)

საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 მუხლის “3” ქვეპუნქტის თანახმად, ნარჩენების დროებითი შენახვის უბანი არის ობიექტი, სადაც ინახება ნარჩენები 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის, ან 1 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის.

აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულია კომპანიის მიერ ნარჩენების დროებითი შენახვის ყველა უბანზე ნარჩენების დასაწყობებისას. ამას გარდა, უბანზე ნარჩენების დროებითი შენახვის მიზნით სს „RMG Copper“ უზრუნველყოფს ნარჩენების ზღვრულად დასაშვები მოცულობა შეესაბამებოდეს დასაშვებს და ორგანიზებას უწევს მათ დროულად გატანას საწარმოს ტერიტორიიდან.

ნარჩენების მართვის კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაციას ექვემდებარება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული შემდეგი საქმიანობები: ბ) 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება; გ) არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; დ) არანაკლებ 2 ტონა და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება.

გამომდინარე იქედან, რომ საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ნარჩენების დროებითი განთავსების უბნებზე მიმდინარეობს არანაკლებ 2 ტონა და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის შეგროვება, კომპანიამ აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით გაიარა შესაბამისი რეგისტრაცია.

სს „RMG Copper“-ის სამთო მოპოვებითი და მადანგადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების 4 ობიექტი და ერთი ობიექტი 2 ტონამდე სახიფათო ნარჩენების. მათ შორის ორი უბანი არის მოწყობილი გამოყენებული ზეთების შეგროვებისათვის, ერთი უბანი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრების დასაწყობებისთვის და მეოთხე უბანი მყარი და თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვებისათვის, ხოლო 2 ტონამდე სახიფათო ნარჩენების უბანზე ხდება გვარჯილის ცარიელი ტომრების განთავსება.

8.5.1 გამოყენებული ზეთების ნარჩენების დროებითი შეგროვების ობიექტი


სს „RMG Copper“-ის ტერიტორიაზე დასრულებულია გამოყენებული ზეთების ორი სახიფათო ნარჩენების უბანის მშენებლობა: მოწყობილია დაახლოებით 80 მ² ფართის ღია ფარდული. იგი წარმოადგენს ფოლადით აგებულ კონსტრუქციას, რომელიც შეკრულია ფოლადის ჩარჩოებით და გვერდზე გაკრული აქვს მავთულბადე. ფარდულს აქვს ბეტონის იატაკი და პანდუსები.

დაღვრის თავიდან აცილების მიზნით ობიექტზე მოწყობილია ბორდიური, არხები და შემგროვებელი ზუმფი.

შენობის კონსტრუქცია უზრუნველყოფს ნარჩენების დაცვას გაბნევისაგან და გამორიცხავს ატმოსფეროში გაფრქვევებს. დასაწყობებული სახიფათო ნარჩენების კონტეინერები

(ლითონის კასრები) ჰერმეტიკულია და აკმაყოფილებენ უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებს. უბანი უზრუნველყოფილია შიდა და გარე განათების სისტემებით, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით, რომლებიც მიუთითებენ შენახული სახიფათო ნარჩენების კატეგორიას, სახეობას და სხვა. დროებითი განთავსების საწყობში ზეთის ნარჩენების განთავსების დრო დამოკიდებულია შეგროვების დასაშვებ რაოდენობაზე. დასაწყობების აღნიშნული უბნები შეესაბამება პერსონალის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით მოთხოვნებს.

ქვემოთ მოყვანილია გამოყენებული ზეთების დროებითი საწყობების სქემატური გამოსახულება და სურათები.



ნახაზი 7.5.1. გამოყენებული ზეთების საწყობების სქემატური ნახაზი



ნახაზი 7.5.2. ზეთების ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი N1



ნახაზი 7.5.3. ზეთების ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი N2

8.5.2 ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრების დროებითი შენახვის ობიექტი

ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრების განთავსების დროებით საწყობი მოწყობილია სს „RMG Copper“-ის დამხმარე შენობა-ნაგებობის ერთ-ერთ ფლიგელში (ფართობი 50 მ²). აღნიშნულ ობიექტზე გროვდება ნავთობპროდუქტებისგან სრულად დაცლილი კასრები.

შენობა წარმოადგენს რკინა-ბეტონის კაპიტალურ ნაგებობას, გააჩნია ჭიმკარი, იატაკი დაცულია წყალგაუმტარი გეომემბრანით დაღვრის საწინააღმდეგო ბორტებით. საწყობი მოწყობილია გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით, რაც გამოირიცხავს დამაბინძურებელი ნივთიერებების გარემოში მოხვედრას.

შემთხვევითი დაღვრების მართვის მიზნით ობიექტზე განთავსებულია დაღვრის საწინააღმდეგო აბსორბენტების ნაკრების კონტეინერები (ე.წ. “Spill kit”). აღნიშნული ნაკრებები განთავსებულია დანარჩენ 3 ობიექტზეც. (იხილეთ ფოტო)

როგორც სხვა სახიფათო ნარჩენების განთავსების ტერიტორიებზე, საწყობი აქაც უზრუნველყოფილია შიდა და გარე განათების სისტემებით, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით, რომლებიც მიუთითებენ შენახული სახიფათო ნარჩენების კატეგორიას, სახეობას და სხვა. შენობა დაცულია, ჩაკეტილია ჭიშკრით. დროებითი განთავსების ადგილზე დაბინძურებული კასრების ნარჩენების განთავსების დრო დამოკიდებულია მათ რაოდენობაზე. დასაწყობების აღნიშნული უბნები შეესაბამება პერსონალის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით მოთხოვნებს.

ნარჩენების დროებითი შენახვის ყველა ობიექტზე მიმდინარეობს მუდმივი მეთვალყურეობა შესაბამისი პერსონალის მიერ (ნარჩენების მართვის ჯგუფი).




ნახაზი 7.5.4. ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრების დროებითი განთავსების უბანი



ნახაზი 7.5.5. დაღვრის საწინააღმდეგო აბსორბენტების ნაკრების კონტეინერები (ე.წ. “Spill kit”)

სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების უზნის ფართობი დაახლოებით 200 მ²-ია, ქვემოთ მოცემულია სქემატური ნახაზი და სურათები.



ნახაზი 7.5.4. სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბანი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების უზნების შერჩეული ადგილმდებარეობა აკმაყოფილებს შესაბამის გარემოსდაცვით და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტერიტორიის დაცულია წყალდიდობის, მეწყრისა და სხვა ბუნებრივი მოვლენებისგან;
- სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების უბანი მოწყობილია სპეციალურად გამოყოფილ გადახურულ, შემოღობილ და დაცულ ადგილას;
- უბანზე შესასვლელი კარი (ჭიშკარი) აღჭურვილია საკეტით;
- უბნის საგები (იატაკი) დამზადებულია ისეთი მასალისგან, რომელიც არ შედის რეაქციაში ან არ იწოვს შენახულ ნარჩენებს, წყალგაუმტარია და ითვალისწინებს ნარჩენების დაღვრის/გაფანტვის რისკს;
- სახიფათო ნარჩენებით ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, შენახვის ადგილი აღჭურვილია წვიმის წყლის შეგროვების სადრენაჟო სისტემით;

ამას გარდა სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილ უბანზე მოწყობილია:

- სეპარაციის მოედანი;
- შიდა და გარე განათების სისტემები;
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ შენახული სახიფათო ნარჩენების კატეგორიას, სახეობას და სხვა.

უბანზე ასევე მოწყობილია ონკანი ტერიტორიისა და კონტეინერების მორწყვა გარეცხვისათვის. აღსანიშნავია, რომ კონტეინერების ნარეცხი წყალი მიიჩნევა სახიფათო ნარჩენად და დაუშვებელია მისი ჩაშვება საკანალიზაციო სისტემაში წინასწარ განეიტრალეების გარეშე. აღნიშნული დაგროვდება უბანზე სპეციალურ რეზერვუარში და მოხდება შესაბამის კონტრაქტორზე გადაცემა.

ნარჩენების განთავსების ობიექტის ცალკე გამოყოფილ ნაწილში მიმდინარეობს მხოლოდ გადამუშავებადი (რეციკლირებადი) ნარჩენების აკუმულირება/დაგროვება. კერძოდ: ქაღალდის, მუყაოს და პლასტმასის ნარჩენების შეგროვება/დასაწყობება.

აღნიშნულ მოედანები მოწყობილია ნარჩენების თითოეული ნაკადის განთავსების განყოფილებები და კონტეინერები შესაბამისი მარკირებით.

ნარჩენების დროებით განთავსების მოედანი მთლიანად შემოღობილია. ნარჩენების კონტეინერები გადახურულია ფრინველების/ცხოველების მოზიდვისა და ქარით მათი გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით. განსაზღვრული რაოდენობის ნარჩენების დაგროვების შემდეგ ხდება შესაბამისი კონტრაქტორი ნარჩენების გატანა.

რეციკლირებადი ნარჩენების (ქაღალდი/მუყაო, პლასტმასი) მოცულობის ოპტიმიზაციის მიზნით მოედანზე დამონტაჟებულია Orwak Power 3420 მოდელის საპრესი დანადგარი.

8.5.3 ქაღალდის ნარჩენი

აღსანიშნავია, რომ შეგროვებული ნარჩენი ქაღალდი დამატებით სეპარირდება, ცალკეედება ლამინირებული ქაღალდი, ეცლება წებოვანი ლენტები (სკოჩი) და ლითონის ჩანართები (ე.წ. სკოპები).

ამის შემდგომ მუყაო და ქაღალდი, 2 ცილინდრული ელექტო ძრავზე მომუშავე დამაქუცმაცებელი დანადგარის საშუალებით, დიდი დამაქუცმაცებელი დიდი ზომის მუყაოს ნარჩენებისათვის და პატარა მცირე ზომის მუყაოს და თაბახის ფურცლების ნარჩენებისათვის ქუცმაცდება ფანტელებად. წარმოქმნილი ფანტელი ინახება 1 მ³ ტევადობის ტომრებში ე.წ ბიგბეგებში და ინახება ამავე საწყობში.



დიდი ზომის დამაქუცმაცებელი



პატარა ზომის დამაქუცმაცებელი



ქაღალდის მულჩი

ნახაზი 7.5.1. ქაღალდის მულჩირების პროცესი

მუყაოსა და თაბახის ფურცლების ფანტელი გამოიყენება კომპანიის მიერ განხორციელებულ ბიოლოგიურ სარეკულტივაციო სამუშაოებში (ჰიდრო თესვა).

ამასთან, კომპანიის თბილისის ოფისში შეგროვილი ნარჩენი ქაღალდი გადაეცემა გამომცემლობა პალიტრას, გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

8.6 მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ადგილი

შერეული მუნიციპალური და სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების აკუმულირება ხდება საწარმოს ტერიტორიის გარეთ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

შერეული მუნიციპალური და სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისთვის საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამის ადგილებში განთავსებულია აღნიშნული ტიპის ნარჩენების შეგროვებისთვის გათვალისწინებული კონტეინერები. კონტეინერებს გააჩნია შესაბამისი ფერი (მწვანე) და მარკირება (შერეული მუნიციპალური ნარჩენები).

საწარმოს ტერიტორიაზე შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების კონტეინერები ტრანსპორტირდება და იცლება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ძირითად ადგილზე (ტერიტორიის გარეთ).

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ადგილზე შესაბამისი მარკირებით განთავსებულია 1 ტონიანი კონტეინერები. კონტეინერები დახურულია ფრინველების/ცხოველების მოზიდვისა და ნარჩენების ქარით გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად სპეციალური ტექნიკის საშუალებით ყოველდღიურად ხდება მუნიციპალური ნარჩენების გატანა შესაბამისი კონტრაქტორის მიერ. შერეული მუნიციპალური ნარჩენების საბოლოო განთავსება ხდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე.

8.7 ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტების მართვა

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, კომპანიის მხრიდან გამართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის განხორციელების შემთხვევაში საწარმოს ტერიტორიაზე სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტზე გამოირიცხება:

- ფეთქებადი ან/და აალებადი, ეკოტოქსიური სახიფათო ნარჩენების მოხვედრა, რომლებიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ჰაერთან ურთიერთქმედებისას ყოველგვარი ენერგიის გამოყენების გარეშე შესაძლოა გაცხელდეს და ცეცხლი გაუჩნდეს; ჰაერში აალებადია ჩვეულებრივ წნევაზე; წყალთან ან ნოტიო ჰაერთან ურთიერთქმედებისას საშიში ოდენობის ადვილად აალებად აირებს გამოყოფს;
- სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ;
- სახიფათო ნარჩენების საკანალიზაციო სისტემაში ან მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება;
- შემთხვევითი გაჟონვით ან დაღვრით ნიადაგის, გრუნტისა და ზედაპირული წყლების დაბინძურება;
- კონტეინერების დაზიანება, კოროზია ან ცვეთა. (შერჩეულია შესაბამისი მასალისაგან დამზადებული კონტეინერები);
- ნარჩენების დაწვა;
- ნარჩენების შერევა;
- ნარჩენების გაფანტვა;
- უცხო პირთა შესვლა;
- ქურდობის ფაქტები;

8.8 ნარჩენების სეპარირება

ნარჩენების სეპარირება ნიშნავს – ნარჩენების დაყოფას „ნაკადების“ მიხედვით, როდესაც სხვადასხვა სახეობის და საშიშროების ტიპის ნარჩენები ცალ-ცალკე გროვდება და სხვადასხვა განთავსების ადგილი გააჩნია, რაც ბუნებრივია გულისხმობს შენახვის სხვადასხვა კონტეინერს და ადგილს.

სს „RMG Copper“-ის საქმიანობის პროცესში სეპარირებულ შეგროვებას და განთავსებას ექვემდებარება როგორც სახიფათო და საწარმოო ნარჩენები ასევე არსახიფათო, საყოფაცხოვრებო ნარჩენებიც.

დაუშვებელია სხვადასხვა ნაკადის ნარჩენების ერთი და იგივე კონტეინერში მოთავსება. მაგ. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება სასტიკად აკრძალულია.

კომპანიის ნარჩენების სეპარირებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნაკადების გამოყოფა (სეპარაცია) და ცალკე დამუშავება (შეგროვება, შენახვა, ტრანსპორტირება, საბოლოო განთავსება):

1. არასახიფათო ნარჩენები:

- a) შერეული მუნიციპალური ნარჩენები;
- b) გადამუშავებადი ნარჩენები (პლასტმასის ბოთლები, მინა, პლასტმასის ჭიქები, ალუმინის ქილები, მყარი პლასტმასი)
- c) ქაღალდი/მუყაო
- d) ბიოდეგრადირებადი ნარჩენები

2. სახიფათო ნარჩენები;

8.9 ნარჩენების კონტეინერები

შესაბამისად, საწარმოს ყველა ზემოთ აღწერილ უბანზე განთავსდება ამ კონკრეტული უბნისათვის შესატყვისი ნარჩენების ნაკადებისათვის ცალ-ცალკე კონტეინერები. განსხვავებისათვის კონტეინერები შეიძლება ფერებით იყოს გამოყოფილი, მაგალითად:

ცხრილი 8.9.1. ნარჩენების კონტეინერების მარკირება

ნარჩენის სახეობა	აღწერა / შემადგენლობა	ფერი
შერეული ნარჩენები	„მუნიციპალური“ ნარჩენები: ეზოს ანახვეტი, სიგარეტის ნამწვები, საკვებით დაბინძურებული მუყაო, ქაღალდი და სხვა	მწვანე
გადამუშავებადი	პლასტმასის ბოთლები, მინა, ერჯერადი პლასტმასის ჭიქები, ალუმინის ქილები	შავი
ქაღალდი/მუყაო	შესაფუთი მასალები	ლურჯი
ორგანული ნარჩენები	ბიოდეგრადირებადი და საკვების ნარჩენები	ყვითელი
სახიფათო	ყველა სახის სახიფათო ნარჩენები	წითელი

კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის და მოცულობის კონკრეტული ნარჩენებისათვის შესატყვისი კონტეინერების შეძენას. ეს იქნება ბორბლებიანი პლასტმასის კონტეინერები, მომცრო პლასტმასის კონტეინერები, მეტალის ან პლასტმასის კასრები ფართო და/ან ვიწრო ყელით, 1.2 მ³ მოცულობის კონტეინერები საყოფაცხოვრებო და სხვა სპეციფიკური ნარჩენებისათვის, ასევე სპეციალური კონტეინერები სამედიცინო ნარჩენებისათვის.

ყველა კონტეინერი უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში, დაუზიანებელი, ხვრელების და ბზარების გარეშე, არ უნდა ქონდეთ ნადების ან ჟანგის ნიშნები. გადამუშავებადი და საკვები ნარჩენების კონტეინერებს უნდა გააჩნდეთ თავსახური.

სახიფათო ნარჩენების კონტეინერები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი ნარჩენების ზომას, ფორმას, შემადგენლობას და საშიშროების კლასს. დაზიანებული კონტეინერების გამოყენება

მკაცრად არის აკრძალული. ყოველ კონტეინერს უნდა გააჩნდეს მჭიდროდ მორგებული თავსახური, სახიფათო ნარჩენები იზოლირებული უნდა იყოს სხვა ნარჩენებისაგან, ნარჩენების შერევა სასტიკად აკრძალულია.

8.9.1 ნარჩენების კონტეინერების მარკირება

საწარმოს ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ნარჩენების შეგროვებისათვის მოწყობილი კონტეინერების მარკირება შესაბამისი წარწერებით ან ემბლემით რათა შესაძლებელი გახდეს მათი შიგთავსის განსაზღვრა და ზუსტად აღწერა;



ნახაზი 8.9.2. ნარჩენების კონტეინერების მარკირება

ნარჩენების ყველა კონტეინერი უნდა იყოს ნათლად ამოცნობადი, მარკირებული, ზუსტად აღწერდეს მასში მოთავსებულ ნარჩენის ტიპს, რათა გასაგები იყოს სად რომელი ნარჩენია მოთავსებული, რათა არ მოხდეს სხვადასხვა ნარჩენის არევა ან არაშეთავსებადი ნარჩენების ერთად გადატანა ან დასაწყობება.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ნარჩენების კონტეინერებზე არსებული ყველა ძველი მარკირება უნდა მოიხსნას და იყოს მხოლოდ ერთი, განსაზღვრული მარკირება.

9 ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება

სს „RMG Copper“-ის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა ძირითადად ხდება ზემოთჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების, დამხმარე მეურნეობებისა და ცალკეული ობიექტების ტერიტორიაზე, მათ შორის ნარჩენების წარმოქმნა მოსაუბლოდნელია ახალი კუდსაცავის ტერიტორიაზე.

საწარმოს თითოეული ობიექტის ტერიტორიაზე, განსაზღვრულ ადგილებში განთავსდება შესაბამისად მარკირებული, სპეციალური პლასტმასის კონტეინერები საყოფაცხოვრებო და გადამუშავებადი (რეციკლირებადი) ნარჩენებისათვის ცალ-ცალკე. სახიფათო ნარჩენებისათვის ინვენტარიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელ ობიექტებში ასევე განსაზღვრულ ადგილებზე და განსაზღვრული რაოდენობით განთავსდება შესაბამისი ზომის და ტიპის კონტეინერები.

თითოეულ უბანზე, ნარჩენების ყოველი ტრანსპორტირება შეივსება „ნარჩენების

ტრანსპორტირების ზედდებული“, რომელიც ქვემოთ აღწერილი პროცედურის გავლით გადაეცემა ყველა მონაწილე მხარეს (მწარმოებელი, გადამზიდავი, უბნის უფროსი, საბოლოო განთავსების უბანი).

9.1 არასახიფათო ნარჩენების შეგროვება

როგორც ზემოთ ავლინებთ, კომპანიის ყოველი სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიაზე განლაგდება ნარჩენების ნაკადების სეპარირებისათვის შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის კონტეინერები. კომპანიის სპეციალური სატვირთო ავტომობილის საშუალებით ყოველდღიურად მოხდება აღნიშნულ კონტეინერებში მოთავსებული საყოფაცხოვრებო და სხვა არასახიფათო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება არასახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების უბანზე.

უბანზე მისული არასახიფათო ნარჩენები დაიცლება სეპარაციის მოედანზე და მოხდება ვიზუალური შემოწმება. მათში განსხვავებული ნაკადის ნარჩენების აღმოჩენის შემთხვევაში მოხდება დამატებითი სეპარაცია. ამის შემდეგ სეპარირებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები მოთავსდება მათთვის განკუთვნილ დიდი ზომის კონტეინერებში.

კომპანიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ტერიტორიაზე წარმოქმნილი გადამუშავებადი (რეციკლირებადი) ნარჩენები, როგორიცაა ხე, მეტალი, პლასტმასი, პოლიეთილენი, მინა, პლასტმასის ბოთლები, მყარი პლასტმასი, ქაღალდი, მუყაო და სხვა, რომლებიც მოთავსებული იქნება შესაბამისად მარკირებულ კონტეინერებში, განსაზღვრულ ინტერვალებში, კომპანიის კუთვნილი სატვირთო ავტომობილით, გადაიზიდება არასახიფათო ნარჩენების დროებით განთავსების უბანზე და განთავსდება თითოეული ნაკადისათვის განსაზღვრულ ცალკეულ უჯრედში.

რაც შეეხება ახალი კუდსაცავის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ნარჩენებს, როგორც ზემოთ აღინიშნა სამშენებლო ბაზაზე მოეწყობა ნარჩენების დროებითი განთავსების უბანი, სადაც განთავსდება შესაბამისი ნარჩენების კონტეინერები (მცირე მოცულობის არასახიფათო მუნიციპალური და ინერტული ნარჩენების დროებით განთავსებისათვის სანამ მოხდება შესაბამის ნარჩენების კონტრაქტორზე გადაცემა), ხოლო წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები განთავსდება კოპერის სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსების უბნებზე.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც უბანზე დაგროვდება რეციკლირებადი ნარჩენების საკმარისი რაოდენობა, მოხდება შესაბამის კონტრაქტორზე გადაცემა გადასამუშავებლად ან შემდგომში სხვადასხვა გადამამუშავებელი კომპანიებისათვის გადასაცემად.

ხის ნარჩენები ძირითადად დაქუცმაცდება და მიღებული მულჩი გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებში, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებში მცირე მშენებლობისათვის ვარგისი ხე-მასალა გადაეცემა ადგილობრივ მოსახლეობას.

სს „RMG Copper“-ის საწარმოსა და მთავარი ოფისის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2 მუშა-მოსამსახურეთა სასადილო, სადაც ყოველდღიურად იკვებება დაახლოებით 600 ადამიანი. საკვები მზადდება მთავარი ოფისის სასადილოში. საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ სასადილოს მშრალი საკვების რაციონი საკვები კონტეინერებით მიეწოდება ცენტრალური სასადილოდან. აქედან გამომდინარე ორივე ობიექტზე წლის განმავლობაში გროვდება დაახლოებით 8 ტონა ორგანული ნარჩენი, რომელიც სასადილოში განლაგებული ურნებიდან, სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად (ეზოს ანახვეტი, სიგარეტის ნამწვები, საკვებით დასვრილი კონტეინერები და სხვა) კომპანიის სატვირთო ა/მანქანით გადაიტანება არასახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების უბანზე. აღნიშნული ნარჩენები გადაეცემა ბოლნისის მუნიციპალიტეტს ბოლნისის არასახიფათო მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელზე განსათავსებლად.

სამომავლოდ კომპანია განიხილავს აღნიშნული ნარჩენის ნაკადის გამოყენებას კომპოსტირებისათვის.

განსაზღვრულ ინტერვალებში მოხდება კონტრაქტორის გამოძახება და მათი ტრანსპორტით მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე გატანა და განთავსება. ყოველ გატანაზე ასევე შეივსება ნარჩენების ტრანსპორტირების ზედდებული და მონაცემთა შეყვანა ელექტრონულ ბაზაში.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია არასახიფათო ნარჩენების კონკრეტული ნაკადების შეგროვებისა და საბოლოო განთავსების პირობები:

ცხრილი 9.1.1.

19 08 01	სკრინინგები
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები

ზემოთ ჩამოთვლილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული მეთოდით, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, რომლებიც კომპანიაში მთელ ტერიტორიაზე იქნება განთავსებული, იქნება შესაბამისი ეტიკეტირება და მაქსიმალურად იქნება მორგებული შესაბამისი განყოფილების მოთხოვნასა და ინფრასტრუქტურაზე, რათა ნარჩენი წარმოქმნის ადგილიდან, მაქსიმალურად ხანმოკლე პერიოდში იქნას მოთავსებული კონტეინერში.

თითოეული კონტეინერის მდგომარეობა მკაცრად გაკონტროლდება, რომ გაუმართავი კონტეინერის გამო, არ მოხდეს გარემოს დანაგვიანება, რითაც თავიდან იქნება აცილებული გარემოსათვის ნარჩენებით გამოწვეული შესაძლო საფრთხეები, მაშინაც კი, თუ არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები. აღნიშნული ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ბოლნისის მუნიციპალიტეტი. (ან შესაბამისი ნებართვის მქონე სხვა სუბიექტი)

ცხრილი 9.1.2.

15 01 03	ხის შესაფუთი მასალა
----------	---------------------

აღნიშნული სახის ნარჩენების შეგროვება ხდება ხის ნარჩენების უბანზე და ნარჩენი ხის შესაფუთი მასალის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი ნაწილი დაექვემდებარება მულჩირებას. მიღებული მულჩი გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებში, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებში მცირე მშენებლობისათვის ვარგისი ხე-მასალა გადაეცემა ადგილობრივ მოსახლეობას.

ცხრილი 9.1.3.

16 01 03	განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები
16 01 04*	საშუალებები
17 04 07	შერეული ლითონები
17 04 01	სპილენძი, ბრინჯაო, თითბერი
17 04 02	ალუმინი
20 01 01	ქალაქი და მუყაო
20 01 39	პლასტმასი

ჩამოთვლილი ნარჩენების შეგროვება ხდება კომპანიის ტერიტორიაზე არსებულ ნარჩენების

შეგროვების უბნებზე, საიდანაც ხდება მათი გადაცემა შესაბამის კონტრაქტორზე.

9.2 სახიფათო ნარჩენების შეგროვება

სახიფათო ნარჩენები შეგროვდება კომპანიის ყოველი სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სპეციალურ კონტეინერებში. სპეციფიური ნაკადებისათვის, როგორცაა მაგალითად თხევადი სახიფათო ნარჩენები, გამოყენებული იქნება შესაბამისი განსხვავებული სახის კონტეინერი (მეტალის კასრი, IBC კონტეინერი და სხვ.).

ობიექტებზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები განსაზღვრულ ინტერვალებში შეგროვდება და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების წესების სრული დაცვით გადაიზიდება სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების უბანზე. უბანზე მოხდება მყარი სახიფათო ნარჩენების სეპარირება ნაკადების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი შეფუთვა/გადაფუთვა და უბნის ფარგლებში განსაზღვრულ ადგილებზე დროებით განთავსება. სახიფათო ნარჩენების ნებისმიერი ნაკადის (შეიძლება რამდენიმე ნაკადის ერთად) საჭირო რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში მოხდება შესაბამის კონტრაქტორზე გადაცემა შემდგომ გადასამუშავებლად ან საბოლოო განთავსებისათვის.

ობიექტზე ფუნქციონირებს პირველადი დახმარების პუნქტი, სადაც წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენის მცირე რაოდენობა (0,08 ტ/წელიწადში) გადაეცემა ასევე სპეციალურ კონტრაქტორს გასაუვნებლად.

ცხრილი 9.2.1.

13 02 08*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და სხვა ზეთოვანი
-----------	---

აღნიშნული თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება ხდება კასრებში მათი წარმოქმნის ადგილზე და შემდგომ ხდება მათი განთავსება სახიფათო ნარჩენების შეგროვების უბნებზე **მადნეული 3** და **მადნეული 4** რის შემდეგაც ხდება მათი გადაცემა შესაბამისი ნარჩენების გადამამუშავების ნებართვის მქონე კონტრაქტორზე სატენდერო პირობების შესაბამისად.

ცხრილი 9.2.2.

15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით
15 01 11*	მეტალის შესაფუთი მასალა, რომელიც შეიცავს სახიფათო მყარ ფოროვან მატრიცას (მაგალითად, აზბესტს), ცარიელი წნევის კონტეინერების ჩათვლით
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით
16 02 13 *	მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით
16 11 05*	მოსაპირკეთებელი მასლა და ცეცხლგამძლე ნარჩენები არა მეტალურგიული პროცესებიდან, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს
16 05 06*	ლაბორატორიული ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შეიცავს ან შედგება სახიფათო ნივთიერებებისგან, მათ შორის, ლაბორატორიული ნივთიერებების ნარეგები
17 05 05*	გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს
18 01 03*	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით
20 01 21*	ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები

20 01 33*	შერეული ბატარეები და აკუმულატორები, მათ შორის 16 06 01, 16 06 02 ან 16 06 03 პუნქტებით განსაზღვრული ნარჩენების ჩათვლით
-----------	--

ჩამოთვლილი სახიფათო ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული მეთოდით, მყარი ნარჩენების შეგროვებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია სპეციალურად აღჭურვილი და ეტიკეტირებული კონტეინერები, ხოლო თხევადი ნარჩენებისათვის კასრებში იმ ადგილებში, რომლებიც უზრუნველყოფს მათი მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენებას, რაც გამოიხატება კონტეინერში ნარჩენების უმოკლეს დროში მოთავსებაში და შემდგომ ნარჩენების უმოკლეს პერიოდში გადატანაში ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ სახიფათო ნარჩენების განთავსების უბანზე. **მადნეული 1**

ცხრილი 9.2.3.

13 05 07*	ზეთიანი, ნავთობიანი წყალი, ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორიდან (გამყოფი მოწყობილობიდან)
-----------	---

აღნიშნული ნარჩენების შეგროვება ხდება სახიფათო ნარჩენების შეგროვების ზუმფებში და ასევე ავტოსამრეცხაოებიდან გამომავალი წყლის სეპარატორებში. რის შემდგომ კონტრაქტორი უზრუნველყოფს ნარჩენების გატანას მისი წარმოქმნის ადგილიდან.

ცხრილი 9.2.4.

19 08 14	ნალექები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს საწარმოო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური სხვა დამუშავებისგან, რომელსაც არ ვხვდებით 19 08 13 პუნქტში
----------	---

აღნიშნული ნარჩენები წარმოიქმნება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში, შეგროვდება მათი წარმოქმნის ადგილზე და საჭიროების მიხედვით მოხდება გამოყენება სარეკულტივაციო სამუშაოებში.

სახიფათო ნარჩენების შეგროვება მოხდება ცხრილი 9.2.5.-ის მიხედვით:

ცხრილი 9.2.5.

13 02 08*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	შეგროვება მოხდება წარმოქმნის ადგილზე, ლითონის კასრებში და მოხდება მისი გადატანა სახიფათო ნარჩენების განთავსების უბანზე მადნეული 3, მადნეული 4
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომელზეც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით.	აღნიშნული ტიპის ნარჩენების შეგროვება ხდება სახიფათო ნარჩენების შეგროვების ორ სხვადასხვა უბანზე, რაც გამომდინარეობს მათი დაბინძურების ტიპს მადნეული 1 ან მადნეული 2 და 2 ტონამდე სახიფათო ნარჩენების დროებით შენახვის ობიექტზე.
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სახვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით.	აღნიშნული კატეგორიის ნარჩენები გროვდება კონტეინერული მეთოდით, სახიფათო ნარჩენების კონტეინერებში, ან შესაბამისი ეტიკეტირების მქონე ლითონის ან პლასტიკის კასრებში რის შემდეგაშ შემდგომი უტილიზაციისათვის თავსდება სახიფათო

16 02 13 *	მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-მდე პუნქტებში	წარმოქმნის შემთხვევაში ისინი ყველა წესის დაცვით დასაწყობდება ქარხანაში არსებულ სახიფათო ნარჩენების მადნეული 1 საწყობში.
16 11 05*	მოსაპირკეთებელი მასალა და ცეცხლგამძლე ნარჩენები არა მეტალურგიული პროცესებიდან, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	ამ კატეგორიის ნარჩენები გროვდება შესაბამისი ეტიკეტირების მქონე კონტეინერებში რის შემდეგაც ხდება მათი დანთავსება სახიფათო ნარჩენების განთავსების მადნეული 1 -ის ტერიტორიაზე
16 05 06*	ლაბორატორიული ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შეიცავს ან შედგება სახიფათო ნივთიერებებისგან, მათ შორის,	ამ კატეგორიის ნარჩენები გროვდება შესაბამისი ეტიკეტირების მქონე პლასტმასის ავზებში რის შემდეგაც ხდება მათი განთავსება
17 05 05*	გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	ნარჩენის წარმოქმნა არ არის სისტემატიური ხასიათის და წარმოიქმნება მხოლოდ საავარიო სიტუაციებში, რის შემდეგაც დაბინძურებული ნიადაგი იხსნება ზედაპირიდან და კონტრაქტორზე რემედიაციისათვის გადაცენამდე ინახება შესაბამისი ეტიკეტირების მქონე კასრებში სახიფათო ნარჩენების განთავსების მადნეული 1 -ის ტერიტორიაზე
20 01 21*	ფლუროსცენციული მიწები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები	აღნიშნული ნარჩენები წარმოქმნისთანავე, განთავსდება სახიფათო ნარჩენების განთავსების მადნეული 1 -ის უბანზე, შესაბამისი ეტიკეტირების მქონე ნარჩენებში
20 01 33*	შერეული ბატარეები და აკუმულატორები, მათ შორის 16 06 01, 16 06 02 ან 16 06 03 პუნქტებით განსაზღვრული ნარჩენების ჩათვლით	აღნიშნული ტიპი ნარჩენი გროვდება სახიფათო ნარჩენების შეგროვების მადნეული 1 -ის უბანზე შესაბამისი ეტიკეტირების სითხეგაუმტარ ავზებში

10 ნარჩენების გადაცემის პროცესი

სს „RMG Copper“-ის მიერ კონტრაქტორზე ნარჩენების გადაცემა დადგენილი წესით გაფორმდება “ნარჩენების ტრანსპორტირების ზედდებულის“ შევსების გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ნარჩენების გადაცემის დროს დაფიქსირდება შემდეგი მონაცემები:

- გადაცემის თარიღი და დრო;
- ნარჩენების აღწერა, დასახელება, ტიპის, რაოდენობის და შეფუთვის სახის მითითებით;
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნელის (საქმიანობის განმახორციელებელი) შესახებ;
- ინფორმაცია ნარჩენების გადამზიდის შესახებ;
- ინფორმაცია მიმღები პირების შესახებ;
- წარმოქმნელის, გადამზიდის და მიმღების წარმომადგენლების ხელმოწერა;

შევსებული ზედდებული თან უნდა ახლდეს ყველა სატრანსპორტო საშუალებას ნარჩენების ტრანსპორტირების დროს;

თითოეულ ფორმაში მიეთითება: ნარჩენების საერთო რაოდენობა, სახეობა, წარმოშობა, ქიმიური შემადგენლობა და სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

ნარჩენების ტრანსპორტირების ზედდებული შეივსება სამ ეგზემპლიარად. ნარჩენების გადაცემის ფორმალური პროცედურა შემდეგია:

- ნარჩენების გადაცემის ფორმას ხელს აწერენ უფლებამოსილი პირები და ქვეკონტრაქტორი, რომელიც აწარმოებს ნარჩენების გატანას და გადაზიდვას;
- პირველი ეგზემპლიარი რჩება ობიექტზე და ინახება არქივში;
- დანარჩენი ორი ეგზემპლიარი თან უნდა ახლდეს სატრანსპორტო საშუალებას ნარჩენების დამუშავების და/ან განადგურების ადგილამდე ტრანსპორტირების დროს;
- ნარჩენების განადგურების ან დამუშავების ობიექტის პასუხისმგებელმა პირმა ხელი უნდა მოაწეროს შევსებულ ფორმებს და იქვე მიუთითოს დანიშნულების ადგილზე ნარჩენების მიღების შესახებ;
- ამის შემდეგ ფორმის ერთი ეგზემპლიარი რჩება დამუშავების ან განადგურების ობიექტზე;
- მესამე ეგზემპლიარს იტოვებს გადამზიდი-ქვეკონტრაქტორი. ნარჩენების გატანის მომდევნო ვადის დადგომისას, გადამზიდი ალნიშნული ეგზემპლიარი ისევ ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე უნდა მიიტანოს, სადაც ის შეინახება პირველ ეგზემპლიართან ერთად;
- ნარჩენების შევსებული ზედდებულის ასლები წარედგინება კომპანიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს ან მის მოადგილეს;

ნარჩენების გადაცემის შევსებული ფორმები ინახება კონტრაქტის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

11 ნარჩენების ტრანსპორტირების წესები

სახიფათო ნარჩენების გადამზიდველი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების განხორციელებამდე მიიღოს ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას თან იქონიოს ალნიშნული მოწმობა, (ნარჩენების მართვის კოდექსი მუხლი 7, ნაწილი 7);

სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობას, გაცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულება (მართვის კოდექსი მუხლი 6, ნაწილი 5, ძალაში შევა 2016 წლის 1 თებერვლამდე)

ნარჩენების ტრანსპორტირების შედეგად ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევაში, ნარჩენების გადამზიდავი ვალდებულია უზრუნველყოს დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება (მართვის კოდექსი მუხლი 7 ნაწილი 3).

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ კომპანია არ აწარმოებს სახიფათო თუ არასახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებას. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მცირე რაოდენობის ნარჩენი საწარმოს ობიექტებიდან კომპანიის კუთვნილი სატვირთო ა/მანქანით გადაიზიდება დროებითი განთავსების უბანზე.

12 ნარჩენების დამუშავება/საბოლოო განთავსება

როგორც ზემოთ აღინიშნა საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენები, რომელთა გატანა და განთავსება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე დაშვებულია, დაგროვების შესაბამისად გატანილი იქნება ბოლნისის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე;

დაგროვების შესაბამისად, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შემდეგ კონტრაქტორ კომპანიებს:

- 1) ტრანსფორმატორის და სხვა სახის გამონამუშევარი ზეთი, ანტიფრიზი, დიზელი და ბენზინი, შემდგომი გაფილტვრისა და აღდგენისთვის - შპს „ბიდი“ და შპს „ალავერდი“
- 2) სხვა სახიფათო ნარჩენები - შპს „მედიკალ ტექნოლოგი“. მის. ქ.თბილისი, ო. ჭილაძის ქ. №9. და შპს „სანიტარი“, ქ. რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი #4.
- 3) გადამუშავებადი (რეციკლირებადი) ნარჩენები შემდგომი გადამუშავებისათვის - მგვ ორგანიზაცია და ცხრილში მითითებული შესაბამისი კონტრაქტორები.
- 4) შერეული მუნიციპალური, ბიოდეგრადირებადი ნარჩენები ბოლნისის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განსათავსებლად - ბოლნისის მუნიციპალიტეტი. მის. ქ. ბოლნისი, ი. ჭავჭავაძის ქ. №49.
- 5) მეტალის ჯართი - შპს „ობო მოტორსი“.

13 ნარჩენების უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები

- პერსონალს რომელიც დაკავებულია ნარჩენების მართვის სფეროში (შეგროვება, შენახვა, ტრანსპორტირება, მიღება/ჩაბარება) გავლილი ექნება შესაბამისი სწავლება შრომის დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებში;
- საწარმოს თვალსაჩინო ადგილებში გამოკრული იქნება მავნე ნარჩენებთან მოპყრობის ინსტრუქციები; გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები (იხ. დანართი N2);
- პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სპეციალური ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- პერსონალს გავლილი ექნება სწავლება პირველადი დახმარების აღმოჩენაზე მოწამვლის ან ტრანზვირების შემთხვევაში ნარჩენებთან მუშაობის დროს;
- სამუშაოზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ ექნება გავლილი შესაბამისი მომზადება, არ ექნება შესაბამისი სპეცტანსაცმელი და აღენიშნება ავადმყოფობის ნიშნები;
- ნარჩენების შეგროვების ადგილზე არ დაიშვება დადგენილ ნორმაზე მეტი რაოდენობის ნარჩენების განთავსება. ასევე არ დაიშვება ადვილალეებადი და აალებადი ნარჩენების განთავსება ნაპერწკალ და სითბოწარმომქმნელ წყაროებთან ახლოს;
- ნარჩენების რამდენიმე სახის ერთად განთავსების დროს გათვალისწინებული იქნება მათი შეთავსებადობა;
- ნარჩენების დაგროვების ადგილებში არ დაიშვება უცხო საგნების, პირადი ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ინდ. დაცვის საშუალებების შენახვა, ასევე სასტიკად აიკრძალება საკვების მიღება;
- ნარჩენებთან მუშაობის დროს საჭიროა პირადი ჰიგიენის წესების მკაცრი დაცვა, ჭამის წინ

და მუშაობის დასრულების შემდეგ აუცილებელია ხელების დაბანა საპნით და თბილი წყლით;

- მოწამვლის ნიშნების შემთხვევაში, სამუშაო უნდა შეწყდეს და დაზარალებულმა უნდა მიმართოს უახლოეს სამედიცინო პუნქტს და შეატყობინოს ამ შემთხვევაში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობას;
- ცეცხლსაშიში ან ფეთქებადი ნარჩენების შეგროვების ადგილებში იქნება ცეცხლმაქრი საშუალებები. ამ სახის ნარჩენების განთავსების ადგილებში სასტიკად იკრძალება მოწევა და ღია ცეცხლით სარგებლობა;
- პერსონალს გავლილი ექნება სათანადო ტრენინგის კურსი ხანძარქრობის წესებზე;

14 უსაფრთხოების მოთხოვნები და შესაძლებელი ავარიული სიტუაციების პრევენცია ნარჩენების მართვის დროს

- ავარიული სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება და ინსტრუქტაჟი;
- პირებმა რომლებიც არ არიან დაკავებულები ამ სამუშაოებში უნდა დატოვონ სახიფათო ზონა;
- იატაკზე დაღვრილი ქიმიური ხსნარი ან გამხსნელი ექვემდებარება გადაუდებელ ნეიტრალიზაციას და მოცილებას, დაღვრის საწინააღმდეგო მოწყობილობის კრებული გამოყენებით. იატაკი უნდა გაიწმინდოს შესაბამის გამხსნელში დასველებულ ტილოთი, შემდეგ კი მოირეცხოს წყალში გახსნილი სარეცხი საშუალებით. ამ სამუშაოების ჩატარების დროს გამოყენებული უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (რესპირატორი, ხელთათმანები და ა. შ.);
- საწარმოს სათავსოების იატაკები უნდა იყოს მოწესრიგებული იატაკის საფარი უნდა იყოს მდგრადი ქიმიური ზემოქმედების მიმართ, რომ გამოირიცხოს მავნე ნივთიერებების სორბცია. იმ სათავსებში, სადაც მუშაობის პროცესში გამოიყენება ან ინახება მავნე ნივთიერებები, გამოკრული უნდა იყოს შესაბამისის გამაფრთხილებელი ნიშნები;
- იქ, სადაც ინახება მჟავები ან ზეთები უბანი უზრუნველყოფილი იქნება ქიმიური ნივთიერებების დაღვრის საწინააღმდეგო მოწყობილობის კრებით (დაღვრილი სითხეების ნეიტრალიზაციის და შეგროვებისათვის);
- ნამუშევარი ზეთის დასაწყობების ადგილთან ახლოს იკრძალება საშემდუღებლო სამუშაოების ჩატარება, ფეთქებად საშიში სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით;
- ხანძარსაშიში ნარჩენების განთავსების ადგილთან ახლოს მოთავსებული უნდა იყოს ცეცხლმაქრი საშუალებები;
- ადგილები, სადაც წარმოებს საპოხი მასალებთან დაკავშირებული ოპერაციები, აღჭურვილი უნდა იყოს ნამუშევარი ზეთების და ფილტრების შესაგროვებელი ადგილი, გამორიცხული უნდა იქნას ნიადაგისა და ზედაპირული წყლების ზეთით დაბინძურების რისკი;
- იატაკზე დაღვრილი ლაქსაღებავების მასალები ან გამხსნელები გადაუდებლად უნდა მოცილდეს კვიშის ან ნახერხის საშუალებით.

15 პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე

სს „RMG Copper“-ის მიერ ნარჩენების გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია:

- ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცებაზე;
- ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პროცესში, ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე;
- ნარჩენების მართვისათვის საჭირო მოწყობილობით, რესურსით და ინვენტარით უზრუნველყოფაზე;

დირექტორი გარემოს დაცვის საკითხებში პასუხისმგებელია:

- ობიექტის ხელმძღვანელების და პერსონალის მიერ დოკუმენტის მოთხოვნების სრულ და სწორ შესრულებაზე;
- ნარჩენების მართვის პროცესის ორგანიზებაზე;

კომპანიის გარემოსდაცვით მმართველს ევალება:

- კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და განახლება
- კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ორგანიზება;
- ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელება;

საწარმოს პერსონალი, რომელიც დაკავებულია ნარჩენების მართვის სფეროში პასუხისმგებელია:

- არასანქცირებულ ადგილებში ნარჩენების განთავსებაზე;
- ნარჩენების წარმოქმნის, გადამუშავების, გამოყენების და განთავსების ნორმების, წესების და აღრიცხვის დარღვევაზე;
- ნარჩენების მართვის თობაზე არასრული, არასწორი და დოკუმენტაციის (ინფორმაციის) მიწოდებაზე;
- „ნარჩენების მართვის გეგმის“ მოთხოვნების შეუსრულებლობაზე;

ნარჩენების გადამზიდეული ვალდებულია:

- ავტოსატრანსპორტო საშუალების გამართვა/მომზადებაზე ნარჩენების გადატანისათვის;
- სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების განხორციელებამდე მიიღოს ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას თან იქონიოს აღნიშნული მოწმობა;
- დროულად გააფორმოს ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან, რომლებსაც გააჩნიათ ნარჩენების გაუვნებლობის თაობაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს კანონის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ ფარგლებში გაცემული ნებართვები იმ ნარჩენების უტილიზაციის თაობაზე, რომლებიც განსაზღვრულია საინვენტარიზაციო უწყისში და გააკონტროლოს ამ ხელშეკრულებების შესრულება;

15.1 ნარჩენების მართვის გეგმის კონტროლი

სს „RMG Copper“-ის ნარჩენების მართვის გეგმა ელექტრონული ფორმით წარედგინება სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის www.moe.gov.ge მეშვეობით. გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესს განსაზღვრავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. მოთხოვნის შემთხვევაში გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს კოდექსით უფლებამოსილი პირებისათვის;

სს „RMG Copper“-ის ნარჩენების მართვის გეგმა განახლდება ყოველ 3 წელიწადში ან წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.